K 210 113
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სარედაქციო საბჭო:

ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), ა. კობა-
ხიძე, ჭ. ლომთათიძე, ა. საყვარე-
ლიძე, ც. ცერცვაძე, მ. ჭაბაშვილი,
გ. ჯორბენაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი

სპეც-2000
შემოწმებულია

თბილისი, 1989

91(038)

ეროვნული ბიბლიოთეკა

81.2 (4/8) — 4
ს 177

რედაქტორები:
ა. კობახიძე
მ. ჭაბაშვილი

განხილული და მოწონებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

К 910.113

წინასიტყვაობა

არსებობს უცხოურ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა გადმოცემის გარკვეული ტრადიცია და მათი მართლწერა ძირითადად მყარია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღარაფერია მოსაგვარებელი. ხშირად გვაქვს ცალკეული სახელების პარალელური ფორმები. ამას ბევრი მიზეზი აქვს. მაგალითად, ერთი და იმავე გეოგრაფიული ადგილის ან პიროვნების სახელის ეზთი ფორმა შემოსულია უშუალოდ იმ ენიდან, რომლის კუთვნილებაცაა იგი, მეორე — სხვა ენის (ყველაზე უფრო ხშირად რუსულის) მეშვეობით; სიტყვა ნასესხებია ან მისი დაწერილობის, ან გამოთქმის მიხედვით (ვეიმარი — ვაიმარი, კლიბერნი — კლაიბერნი, ებერდინი — აბერდინი); ზოგჯერ ესა თუ ის სახელი მცდარად არის წაკითხული და ასევეა გადმოტანილი (ოგაიო — ოჰაიოს ნაცვლად, ბირმინჰემი — ბირმინგემის ნაცვლად, შტუტჰარტი — შტუტგარტის მაგივრად). სხვადასხვა პირს სხვადასხვაგვარად გადმოაქვს ქართულად ზოგი სიტყვა (მიუნხენი და მიუნჰენი, ციურიხი და ციურიჰი, კელნი და კიოლნი ან კოლნი). ეს არც არის გასაკვირი — ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა, საგაზეთო მასალა. მთარგმნელები ბევრ სიძნელეს აწყდებიან უცხოური საკუთარი სახელების თარგმნისას, გვხვდება სიჭრელე მათ ქართულ დაწერილობაში. ხშირად მთარგმნელებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ ამა თუ იმ სახელის ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებით; ბუნებრივია, რომ მთარგმნელები, აგრეთვე მეცნიერები, პრესის მუშაკები ხშირად ემყარებიან თავის ცოდნას, გამოცდილებას, ზოგჯერ— გემოვნებასაც.

კარგა ხანია მომწიფებულია საკუთარ სახელთა (კერძოდ, გეოგრაფიულ სახელთა) უნიფიკაციის საკითხი. უნიფიკაციის საჭიროებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის (ქსე) შემდგენელთა წინაშე. ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ენციკლოპედიაში შესულ სახელთა გადმოცემის მოწესრიგება. შეძლებისდაგვარად ეს გაკეთდა უკვე გამოცემული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებულისა (1970 და 1986 წ.) და ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს და ი ვ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968 წ.) მონაცემების მიხედვით, აგრეთვე ცალკეული ენების სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებით.

წინამდებარე ლექსიკონში გეოგრაფიული საკუთარი სახელები ძირითადად შესულია იმ სახით, როგორც ქსე-შია, თუმცა მუშაობის პროცესში შეგვქონდა ცალკეული შესწორებანი.

ლექსიკონი შედგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის დადგენილების შესაბამისად. მასში შესულია გეოგრაფიული სახელები, რომლებიც კი გვხვდება ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა (ტტ. 1—11, 1975—1987 წწ.) და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (Большая Советская Энциклопедия, III გამოც., ტტ. 1— 30, 1969 — 1978 წწ.)[1].

• • •

ლექსიკონი **ორთოგრაფიულია** და ამდენად მისი ძირითადი დანიშნულებაა გვიჩვენოს სახელთა სწორი დაწერილობა. მასში განმარტება მოცემულია მოკლედ:

ანტვერპენ-ი (Antwerpen) — ქ. და პროვ.; ბელგია.

---

[1] ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებები გათვალისწინებულია 1986 წლამდე; წყაროები: Советский энциклопедический словарь, 1986; Словарь географических названий зарубежных стран, 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდენზეე (Bodensee) — ტბა გფრ-ის, შვეიცარიისა და ავსტრიის საზღვარზე.
კალკუტა — ქ., დასავლეთ ბენგალის შტ. ადმ. ცენტრი; ინდოეთი.
კიკლადები — არქიპ.; ეგეოსის ზღვა; ეკუთვნის საბერძნეთს.
მაზანდარან-ი — ისტ. ოლქი; ირანი.
შანხაი — ქ.; ჩინეთი.
ჰინდუქუშ-ი — მთათა სისტემა; ავღანეთი, პაკისტანი და ინდოეთი.

ზოგჯერ ძირითად სახელთან ერთად მოცემულია მისი მეტ-ნაკლებად განსხვავებული პარალელური ფორმა:

ანდები, ა ნ დ ი ს კ ო რ დ ი ლ ი ე რ ე ბ ი — მთათა სისტემა; სამხრეთი ამერიკა.
განგ-ი, გ ა ნ გ ა — მდ., ერთვის ინდოეთის ოკეანეს; ინდოეთი და ბანგლადეში.

თუ რომელიმე სახელი ორგვარი ფონეტიკური სახესხვაობით არის შემოსული, მაშინ გავრცელებული, მაგრამ უმართებულოდ მიჩნეული, ფორმა შეტანილია მითითებით:

საარბრიუკენ-ი, იხ. **ზაარბრიუკენი**.

თუ ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა („ზღვა", „ქედი", „კუნძული"...) გეოგრაფიული სახელის შემადგენლობაში შედის, მის განსაზღვრებაში ეს სიტყვა აღარ მეორდება:

კამბეის ყურე — არაბეთის ზღვა, ინდოეთი.
მარმარილოს ზღვა — ევროპასა და აზიას შორის.

* * *

თანხმოვანფუძიან სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი** გამოყოფილია და ანბანის რიგში არ შედის; მაგ., ჯერ არის **კამ-ი**, შემდეგ **კამაგუეი**, ჯერ **მეზ-ი**, შემდეგ **მეზეფელდ-ი**. მაგრამ თუ სიტყვის ბოლოში **ი** ფუძისეულია (ე. ი. უცხო ენაშივე აქვს იგი სიტყვას), რა თქმა უნდა, გამოყოფილი არ არის და ანბანის რიგში ჩათვლილია. სახელობითის ნიშანი **ი** არ გამოიყოფა აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა მრ. რიცხვის ფორმით არის შეტანილი. მაგ., **კარპატები**, **ფილიპინები**...

თუ უცხოური გეოგრაფიული სახელი დედანში შედგება ორი და მეტი სიტყვისაგან, ქართულად იწერება დეფისით: New York — ნიუ-იორკ-ი, San Francisco — სან-ფრანცისკო, Buenos Aires — ბუენოს-აირეს-ი, Santa Cruz — სანტა-კრუს-ი, Lago Maggiore — ლაგო-მაჯორე, New York State Barge Canal — ნიუ-იორკ-სტეიტ-ბარჯ-კანალ-ი.

ისეთი სახელების მართლწერაში, რომლებიც შესიტყვებას წარმოადგენს, მსაზღვრელ-საზღვრულია და მსაზღვრელად გვევლინება ქვეყნის მხარეების აღმნიშვნელ სახელთა ფუძეები („აღმოსავლეთ", „დასავლეთ" და მისთანები), მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემდეგი წესი:

ა) თუ სახელწოდებაში იგულისხმება რაიმე ტერიტორიის ნაწილი, მაშინ ქვეყნის მხარის აღმნიშვნელი სიტყვა გაგებულია როგორც ზედსართავი და გვაქვს: სამხრეთი ამერიკა, ჩრდილოეთი კაროლინა, აღმოსავლეთი პირენე, დასავლეთი ბენგალი...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ასეთ სახელწოდებათა მსაზღვრელი (ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ტრადიციის გათვალისწინებით) ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში შეკვეცილია: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, აღმოსავლეთ ირანის ქედი..., დასავლეთ ავსტრალიის დინება..., განსხვავებით საერთო წესისაგან: წითელი დროშის, წითელი დროშით...

ბ) თუ გეოგრაფიული ერთეული რაიმე ტერიტორიის ნაწილი კი არ არის, არამედ ასეთ ტერიტორიაზეა (მაგ., მიედინება მდინარე), მაშინ გვაქვს „აღმოსავლეთის", „დასავლეთის". „სამხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთის“, „ჩრდილოეთის“: სამხრეთის **პასატური** დინება, სამხრეთის ოკეანე, დასავლეთის შელფური მყინვარი, ჩრდილოეთის საზღვაო არხი...[1]

ბრუნებისას იკვეცება **ა**-ზე დაბოლოებული უცხოური გეოგრაფიული სახელები: ბარსელონა (ნათ. ბარსელონისა), გოთა (გოთისა და არა გოთასი), გენუა (გენუისა), ნიკარაგუა (ნიკარაგუისა)... გამონაკლისია ადამიანის სახელებისგან მიღებული გეოგრაფიული სახელები: **ვიქტორიას კუნძულები, მარიანას კუნძულები** (და არა ვიქტორიის, მარიანის).

არ იკვეცება **ე**-ზე დაბოლოებული უცხოური გეოგრაფიული სახელები: ჩილე (ჩილესი), პირენე (პირენესი), ზაკოპანე (ზაკოპანესი)... გამონაკლისია „ეგვიპტე“ (ნათ. ეგვიპტის), რომელშიც ფუძისეული **ე** არ არის უცხო წარმოშობისა.

* * *

ლექსიკონის მთელი მასალის პირველადი რედაქცია ეკუთვნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ივანე გიგინეიშვილს**, წამყვან მეცნიერ თანამშრომელს **მიხეილ ჭაბაშვილს**, 1982 წლიდან პირველადს რედაქტირებაში მონაწილეობდა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ალექსანდრე კობახიძე**.

ქსე-ში შესული საკუთარი სახელების რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღეს ქსე-ის უფროსმა სამეცნიერო რედაქტორმა **კონა გიგინეიშვილმა** და სხვადასხვა ენის სპეციალისტებმა: პროფ. **ნიკო ყიასაშვილმა** (ინგლისური), დოც. **ნუნუ ჭადეიშვილმა** (ფრანგული), პროფ. **ნოდარ კაკაბაძემ** (გერმანული), პროფ. **ალექსი ლეკიაშვილმა** და პროფ. **ვლადიმერ ახვლედიანმა** (არაბული), აკად. **სერგი ჯიქიამ** და წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ცისანა აბულაძემ** (თურქული), პროფ. **ჯემშიდ გიუნაშვილმა** (სპარსული), დოც. **გრიგოლ ნახუცრიშვილმა** (ინდური ენები), უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ნისან ბაბალიკაშვილმა** (ებრაული). კონსულტაციას გვიწევდნენ საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპ. **გრიგოლ გიორგაძე** (ძვ. აღმოსავლური ენები), დოც. **სტანისლავ რავიჩი** (პოლონური), პროფ. **აკაკი ურუშაძე** (ახ. ბერძნული).

სალექსიკონო მასალის რედაქტირებაზე იმუშავეს თსუ-ის უფროსმა მასწავლებელმა **არიანე ჭანტურიამ** (ინგლისური), დოც. **ნუნუ ჭადეიშვილმა** (ფრანგული), პროფ. **ნოდარ კაკაბაძემ** (გერმანული), პროფ. **ვლადიმერ ახვლედიანმა** (არაბული), პროფ. **ჯემშიდ გიუნაშვილმა** (სპარსული). კონსულტაციას გვიწევდნენ პროფ. **აკაკი ურუშაძე** (ახ. ბერძნული), ფილოლ. მეცნ. კანდიდატი **შალვა გაბესკირია** (თურქული). უცხოენოვან ბგერათა გადმოცემის წესების თაობაზე სასარგებლო შენიშვნები მოგვცა დოც. **შუქია აფრიდონიძემ**.

იმ ევროპული ენებიდან შემოსული სახელების მართლწერის დასადგენად, რომელთა სპეციალისტები არ გვყავდა, ვიყენებდით რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენციკლოპედიებს, რუკებს და ვცდილობდით შეძლებისდაგვარად ადეკვატურად გადმოგვეცა ისინი.

რაც შეეხება ჩინურ, იაპონურ, კორეულ და სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ქვეყნების (პაკისტანი, შრი-ლანკა, ნეპალი, ბირმა, ტაილანდი, ლაოსი, კამპუჩია, ვიეტნამი, ფილიპინები, ინდონეზია, მონღოლეთი), აგრეთვე აფრიკის მკვიდრთა ენებიდან შემოღწეულ სახელებს, ისინი გავმართეთ რუსულის მიხედვით (ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ სახელებში გვხვდებოდა ბგერა **ჰ**, რომელიც რუსულში არ არის, ვეყრდნობოდით უცხოური ენციკლოპედიების ჩვენებას).

ლექსიკონს საბოლოო რედაქცია გაუკეთეს **მ. ჭაბაშვილმა** და **ა. კობახიძემ**. აწყობილი ტექსტი მთლიანად წაიკითხა და გააკონტროლა **ა. ჭანტურიამ**. რედაქტორებს დიდი დახმარება

---

[1] იგივე წესია გატარებული „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონსა“ (1987) და „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1987).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუწიეს ქსე-ის სალიტერატურო კონტროლის რედაქციის უფროსმა სამეცნიერო რედაქტორებმა **მზიური დუგლაძემ** და **მანანა მაკალათიამ**. ინგლისური საკუთარი სახელების დამუშავებაში რედაქტორებს ეხმარებოდნენ ქსე-ის სამეცნიერო რედაქტორები **ელადა ჯაში** და **რუსუდან ფოფხაძე**.

ევროპული ენებიდან ნასესხები საკუთარი სახელების ქართული მართლწერა ემყარება ქვემოთ მოყვანილ წესებს.

ზოგიერთი უცხოენოვანი ბგერისა და ბგერათკომპლექსის გადმოცემა ქართულში[1]

გერმანული

aa — **აა** (და არა: **ა**): Aachen — აახენ-ი.

ä ან **ae** — **ე**: Gräbner — გრებნერი, Graebe — გრებე, Güldenstaedt — გიულდენშტედტ-ი.

ch — **ხ** (და არა: **ჰ**): Zürich—ციურიხ-ი, Buchenwald— ბუხენვალდ-ი, Bochum—ბოხუმ-ი.

ch—**კ** (და არა: **ქ**): Christoph — კრისტოფ-ი, Christian — კრისტიან-ი.

ck — **კ**: Dick — დიკ-ი, Becker — ბეკერ-ი.

dt — **დტ**: Schmidt — შმიდტ-ი, Brandt — ბრანდტ-ი.

ee — **ეე**: (და არა: **ე**): Bodensee — ბოდენზეე.

ei და **ey** — **აი**: Einstein—აინშტაინ-ი, Braunschweig—ბრაუნშვაიგ-ი, Heinrich —ჰაინრიხ-ი, Beyer — ბაიერ-ი, Weydemeyer — ვაიდემაიერ-ი.

eu — **ოი**: Bleuler — ბლოილერ-ი, Feuerbach — ფოიერბახ-ი, Eugen — ოიგენ-ი, მაგრამ (ტრადიციის გამო) Euler — ეილერ-ი.

h — **ჰ**: Hamburg — ჰამბურგ-ი, Hermann Hesse — ჰერმან ჰესე.

h (არ გამოითქმის):

ა) სიტყვის ბოლოს: Neuloh — ნოილო.

ბ) **r**-ს შემდეგ: Rhowolt — როვოლტ-ი.

გ) ხმოვნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს თანხმოვანი: Behling —ბელინგ-ი, Behrendt — ბერენდტ-ი.

დ) ხმოვნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს **e**: Hohenzollern — ჰოენცოლერნ-ი.

ie — **ი**: Dietrich — დიტრიხ-ი, Griesbach — გრისბახ-ი.

ö და **oe** — **ე** (და არა: **ოე** ან **ო**): Köln—კელნ-ი (და არა: კიოლნ-ი ან კოლნ-ი), Schönberg—შენბერგ-ი (და არა: შონბერგ-ი), Röntgen — რენტგენ-ი, Wilamowitz-Moellendorf — ვილამოვიც-მელენდორფ-ი, Ötztaler Alpen — ეცტალის ალპები. გამონაკლისია Goethe—გოეთე.

ph — **ფ**: Philipp — ფილიპ-ი, Gryphius — გრიფიუს-ი.

q — **კ** (და არა: **ქ**): Quedenfeldt — კვედენფელდტ-ი (და არა: ქვედენფელდტ-ი).

s (ხმოვნის წინ) — **ზ**: Sommerfeld — ზომერფელდ-ი, Salzburg — ზალცბურგ-ი, Saarbrücken — ზაარბრიუკენ-ი.

ss და **ß** — **ს**: Lessing — ლესინგ-ი, Fluss ან Fluß — ფლუს-ი.

sp — **შპ**: (სიტყვის თავში — **შპ**): Spiller — შპილერ-ი, Spengler — შპენგლერ-ი.

---

[1] აქ მოცემული წესების შესადგენად ვისარგებლეთ სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროთი და, კერძოდ, ბოლო წლებში გამოსული ცნობარით: Р. С. Гиляревский, Б.А. Старостин, Иностранные имена и названия в русском тексте, II გამოც., მოსკ., 1978, III გამოც., მოსკ., 1985.

გეოგრაფიული და პირთა სახელების ნიმუშები მოყვანილია ერთად, გადმოცემის წესი ყველა ტიპის სახელებისათვის ერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

st — **ს**ტ: (სიტყვის თავში — **შტ**): Leist — ლაისტ-ი, Stephan — შტეფან-ი, Steiner — შტაინერ-ი.

th — **თ**: Lothar — ლოთარ-ი, Abendroth — აბენდროთ-ი, Thüringen — თიურინგია, მაგრამ (ტრადიციის გამო) **ტ**: Thälmann — ტელმან-ი.

tz — **ც**: Fritz — ფრიც-ი, Moritz — მორიც-ი, Leisewitz — ლაიზევიც-ი.

u — **უ**: Ludwig — ლუდვიგ-ი, Gluck — გლუკ-ი.

ü — **იუ**: Büchner — ბიუხნერ-ი, Lübeck — ლიუბეკ-ი.

v (გერმანულ სახელებში) — **ფ**: Bremerhaven — ბრემერჰაფენ-ი, Vogt — ფოგტ-ი, Vogel — ფოგელ-ი.

v (უცხო წარმოშობის სახელებში) — **ვ**: Crivitz — კრივიც-ი.

x — **ქს**: Axel — აქსელ-ი, Alex — ალექს-ი.

y — **ი**: Ryck — რიკ-ი.

z — **ც**: Salzburg — ზალცბურგ-ი, Zimmerwald — ციმერვალდ-ი.

დანიური

ch — **კ**: Christopher — კრისტოფერ-ი, Christian — კრისტიან-ი (და არა: ქრისტოფერ-ი, ქრისტიან-ი).

d (ზოგჯერ არ იკითხება): Richard რიჩარ-ი, Nordskov — ნორსკოვ-ი, Gunhild — გუნჰილ-ი.

eg — **აი**: Hegn — ჰაინ-ი.

hj — **ი**: Hjalf — იალფ-ი.

nd — **ნ**: Hjortlund — იორტლუნ-ი, Linderstrom-Lang—ლინერსტრემ-ლანგ-ი.

s — **ხ**: °Agesen — ოგესენ-ი.

sj — **შ**: Sjaellander — შელანერ-ი.

Øან ö — **ე**: BrØndal — ბრენდალ-ი, Ørsted — ერსტედ-ი, Bergstrøm — ბერგსტრემ-ი, Andersen-Nexö — ანდერსენ-ნექსე.

å ან aa—**ო**: Ålborg—ოლბორგ-ი.

ესპანური

c (e, i, y-ს წინ) — **ს**: Cesar — სესარ-ი, Andalucia — ანდალუსია, Algeciras — ალხესირას-ი, Asuncion — ასუნსიონ-ი.

c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში) — **კ**: Jalisco — ხალისკო, Costa Rica — კოსტა-რიკა, Cuba — კუბა.

ch — **ჩ**: Echeverria — ეჩევერია, Chinchilla — ჩინჩილია.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — **გ**: Ignacio — იგნასიო, Guernica — გერნიკა.

g (e, i-ს წინ) — **ხ**: Angel — ანხელ-ი, Algeciras — ალხესირას-ი, San Jorge — სან-ხორხე, Lago Argentino — ლაგო-არხენტინო.

gu (e, i-ს წინ) — **გ**: Guernica — გერნიკა, Miguel — მიგელ-ი, Guillen— გილიენ-ი.

gu — **გვ**: Guadalajara — გვადალახარა, Guatemala — გვატემალა, Paraguay — პარაგვაი.

h (არ გამოითქმის): Hector — ექტორ-ი, Huelva — უელვა, Halen — ალენ-ი. გამონაკლისია: Honduras — ჰონდურას-ი, Haiti — ჰაიტი, La Habana — ჰავანა.

j — **ხ**: Juan — ხუან-ი, Jorge — ხორხე, José — ხოსე, Guadalajara — გვადალახარა, Jimenes — ხიმენეს-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

lh—**ლი**: Lhorente—ლიორენტე.

lla—**ლია**: Antilla — ანტილია, Sevilla — სევილია, Valladolid — ვალიადოლიდ-ი.

lle—**ლიე**: Rio Gallegos — რიო-გალიეგოს-ი, Alle — ალიე, Valle del Cauca — ვალიე-დელ--კაუკა.

llo—**ლიო**: Hermosillo — ერმოსილიო, Trujillo — ტრუხილიო.

llu—**ლიუ**: Caballuco — კაბალიუკო.

ña—**ნია**: Cataluña — კატალონია

ño—**ნიო**: Marañon — მარანიონ-ი.

ñu—**ნიუ**: Bañusca — ბანიუსკა.

que—**კე**: Enrique — ენრიკე, Siqueiros — სიკეიროს-ი.

qui—**კი**: Quintana — კინტანა, Quito — კიტო.

s—**ს**: Santa Rosa — სანტა-როსა, Formosa — ფორმოსა, Rosario — როსარიო.

x—**ს**: Extremadura — ესტრემადურა.

z—**ს**: Juan Fernandez — ხუან-ფერნანდეს-ი, Fortaleza — ფორტალესა, Zaragoza — სარაგოსა, Cadiz — კადის-ი, Guzman — გუსმან-ი.

ინგლისური

a—**ა**: Aberystwyth — აბერისტუით-ი, Adams — ადამს-ი, Franklin — ფრანკლინ-ი, Cardiff — კარდიფ-ი.

a—**ეი**: David — დეივიდ-ი, Davis — დეივის-ი, Graves — გრეივზ-ი.

a—**ო**: Galsworthy — გოლზუორთი.

a—**ე**: Birmingham — ბირმინგემ-ი, Jackson — ჯექსონ-ი, Mary — მერი.

ae—**ი**: Aegis — იჯის-ი, Caesar — სიზარ-ი.

ai და **ay**—**ეი**: Clay — კლეი, Medway — მედუეი, Gray — გრეი.

ai—**ე**: Cairns — კერნზ-ი.

au და **aw**—**ო**: Austin — ოსტინ-ი, Pauling — პოლინგ-ი, Shaw—შო.

c (e, i, y-ს წინ) —**ს**: Cecil — სესილ-ი, Cinderford — სინდერფორდ-ი.

c (სხვა შემთხვევებში) — **კ** (და არა: **ჭ**): Catherine — კათრინ-ი (და არა: ჭეთრინ-ი), Caistor—კეისტორ-ი, Corwen — კორუენ-ი, Atlantic City — ატლანტიკ-სიტი.

ch—**ჩ**: Chichester — ჩიჩესტერ-ი, Churchill — ჩერჩილ-ი.

ch (ბერძნული და აგრეთვე გერმანული წარმოშობის სახელებში) — **კ**: Christina — კრისტინა, Christopher — კრისტოფერ-ი (და არა: ქრისტინა, ქრისტოფერ-ი), Ulrich — ულრიკ-ი.

ck—**კ** (და არა **ქ**): Pocklington — პოკლინგტონ-ი, Cockermouth — კოკერმუთ-ი, Dickens—დიკენს-ი.

dg—**ჯ**: Bridgetown— ბრიჯტაუნ-ი.

e—**ი**: Beresford — ბერისფორდ-ი, Eden — იდენ-ი, Exeter — ექსიტერ-ი.

e—**ე**: Reston — რესტონ-ი, Manchester — მანჩესტერ-ი.

ea—**ი**: Beadnell — ბიდნელ-ი, Deanston — დინსტონ-ი, Seaborg — სიბორგ-ი, Dearborn — დირბორნ-ი.

ea—**ეი**: Breakspear — ბრეიქსპირ-ი.

ee—**ი**: Green — გრინ-ი, Lee — ლი, Peekskill — პიქსკილ-ი, Seebom — სიბომ-ი.

ei — **ი**: O'Neill — ო'ნილ-ი, Keith — კით-ი.

ei—**აი**: Steinbeck — სტაინბეკ-ი.

eu და **ew**—**იუ**: Matthews — მათიუზ-ი, Dewsbury — დიუზბერი.

ew—**უ**: Andrew—ენდრუ (და არა: ენდრიუ)

ew—**უი**: Lewis—ლუის-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ey—ი: Sidney — სიდნი.

g (a, o, u-ს წინ და სიტყვის ბოლოში) — **გ**: Donegal — დონეგოლ-ი, Dolgarog — დოლგაროგ-ი.

g (e, i, y-ს წინ) — **ჯ**: George — ჯორჯ-ი, Rogers — როჯერზ-ი.

ზოგჯერ ამ პოზიციაში გამოითქმის როგორც **გ**: Gertrude — გერტრუდ-ი, Gilbert — გილბერტ-ი.

gh—**გ**: Birmingham — ბირმინგემ-ი.

h—**ჰ**: Hilary — ჰილარი, Hubert — ჰიუბერტ-ი, Harrison — ჰარისონ-ი.

i—**აი**: Caroline — კაროლაინ-ი, Whitehead — უაიტჰედ-ი, Dwight — დუაიტ-ი, Brierly Hill — ბრაიერლი- ჰილ-ი.

i—**ი**: Brighouse — ბრიგჰაუს-ი, Littleton — ლიტლტონ-ი.

i—**ე**: Firth — ფერთ-ი.

k—**კ** (და არა **ქ**): Katharine — კათრინ-ი (და არა: ქეთრინ-ი), Keats — კიტს-ი.

o და **oa**—**ოუ**: Cope — კოუპ-ი, Sevenoaks — სევენოუქს-ი.

o—**ო**: Gordon — გორდონ-ი, Rogers — როჯერზ-ი, Coventry — კოვენტრი.

oe—**ოუ**: Sillitoe — სილიტოუ.

oo—**უ**: Moor — მურ-ი, Goodman — გუდმენ-ი, Blackpool — ბლეკპულ-ი.

ou და **ow**—**აუ**: Grout — გრაუტ-ი, Brownville— ბრაუნვილ-ი, Bower — ბაუერ-ი.

ou—**უ**: Coupar Angus — კუპარ-ანგუს-ი, Bournemouth — ბორნმუთ-ი.

ou—**ა**: Douglas — დაგლას-ი.

ow—**ოუ**: Lowell—ლოუელ-ი

p—**პ** (და არა: **ფ**): Portia — პორშია, Parker — პარკერ-ი.

ph—**ფ**: Josephine — ჯოზეფინ-ი, Philip — ფილიპ-ი.

qu—**კუ** (და არა: **ქუ**): Quine — კუაინ-ი, Quincy — კუინსი.

s—**ს**: Saskatchewan — სასკაჩევან-ი, Salsbury — სოლზბერი.

s—**ზ**: James — ჯეიმზ-ი, Charles — ჩარლზ-ი, Brisbane — ბრიზბენ-ი, Graves — გრეივზ-ი.

s (ზოგჯერ არ გამოითქმის): Long Island — ლონგ-აილენდ-ი.

sh—**შ**: Shakespeare — შექსპირ-ი.

ss—**ს**: Furness — ფერნეს-ი.

t—**ტ** (და არა: **თ**): Coventry — კოვენტრი, Hubert — ჰიუბერტ-ი, Ted — ტედ-ი.

t (ზოგჯერ არ გამოითქმის): Christmas — კრისმას-ი, Whistler — უისლერ-ი.

tch—**ჩ** (**t** არ გამოითქმის): Fletcher — ფლეჩერ-ი, Dutch-harbour — დაჩ-ჰარბორ-ი

th—**თ**: Arthur — ართურ-ი, Jonathan — ჯონათან-ი, Macbeth — მაკბეთ-ი, Catherine—კათრინ-ი, Thornton — თორნტონ-ი, Plymouth — პლიმუთ-ი.

th—**დ**: Sutherland — სადერლენდ-ი.

th—**ზ**: Rutherford — რეზერფორდ-ი.

th—**ტ**: Anthony — ანტონი, Thomas — ტომას-ი, Thames — ტემზა, Theresa — ტერეზა.

tz—**ც**: Fitzgerald — ფიცჯერალდ-ი.

u—**უ**: Arthur — ართურ-ი, Julian — ჯულიან-ი.

u—**იუ**: Canute — კანიუტ-ი, Hubert — ჰიუბერტ-ი, Butte —ბიუტ-ი.

u—**ა**: Butler — ბატლერ-ი, Russell — რასელ-ი, Sullivan — სალივან-ი, Sumner — სამნერ-ი.

u—**ე**: Churchill — ჩერჩილ-ი, Ogburn — ოგბერნ-ი, Burbank — ბერბანკ-ი.

w—**უ**: William — უილიამ-ი, Wellington — უელინგტონ-ი, Warren — უორენ-ი, Windsor—უინძორ-ი.

w—**ვ**: Washington — ვაშინგტონ-ი, Darwin — დარვინ-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

x—ქს: Oxford — ოქსფორდ-ი.
x—გზ: Alexander — ალეგზანდერ-ი.
y—აი: Dyson — დაისონ-ი, Argyll — არგაილ-ი, Bryce Canyon — ბრაის-კანიონ-ი.
y—ე: Byrd — ბერდ-ი, Byrne — ბერნ-ი.
z—ზ: Elizabeth — ელიზაბეთ-ი.

იტალიური

c (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — **კ**: Cadore — კადორე, Cursolo — კურსოლო, Macchi — მაკი.
c (e, i-ს წინ)— **ჩ**: Cesare — ჩეზარე, Cimarosa — ჩიმაროზა.
cc—კ: Dallapiccola — დალაპიკოლა.
cc—ჩ: Boccaccio — ბოკაჩო, Vespucci — ვესპუჩი, Contucci — კონტუჩი.
ch—კ: Cherubini — კერუბინი, Michele — მიკელე, Schipa — სკიპა, Chiuro — კიურო, მაგრამ Michelangelo — მიქელანჯელო, Archangelo — არქანჯელო.
cch—კ: Zecchi — ცეკი, Verrocchio — ვეროკიო, Sacchetti — საკეტი.
g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — **გ**: Guttuso — გუტუზო, Grana — გრანა.
g (e, i-ს წინ) — **ჯ**: Agira — აჯირა, Germanetto — ჯერმანეტო.
gh—გ: Alighieri—ალიგიერი, Quarenghi—კვარენგი.
gia—ჯა, gio—ჯო: Giacomo — ჯაკომო, Giorgione — ჯორჯონე, Borgia — ბორჯა, Giovanni — ჯოვანი, Belgioioso — ბელჯოიოზო, Maggio — მაჯო.
gna—ნია: Agnana — ანიანა.
gni—ნი: Segni — სენი.
gno—ნო: Vignola — ვინიოლა, Giovagnoli — ჯოვანიოლი.
gu—გუ: Guasila — გუაზილა, Guerrazi — გუერაცი.
gu—გვ: Guarneri — გვარნერი.
i (უმახვილო) — **ი**-ს შემდეგ არ გამოითქმის: Riccioli — რიჩოლი.
qu—კვ: Quasimodo — კვაზიმოდო, Quercia — კვერჩა.
s—ს: Secchi — სეკი, Chiusdino — კიუსდინო, De Amicis — დე ამიჩის-ი.
s—ზ: Isola-იზოლა, Cimarosa—ჩიმაროზა, Smeraldi—ზმერალდი.
sc (a, o, u-ს წინ) — **სკ**: Bosco — ბოსკო.
sc (e, i-ს წინ) — **შ**: Scicolone—შიკოლონე. Scisciaro — შიშარო.
z და **zz—ც**: Zacconi — ცაკონი, Zappa — ცაპა, Bozzole — ბოცოლე.
z და **zz—ძ**: Mazzini — მაძინი, Verzone — ვერძონე, Zavattini — ძავატინი.

ნორვეგიული

aa—ო: Vesaas — ვესოს-ი.
au—ეუ: Aursand — ეურსან-ი, Haugesund — ჰეუგესუნ-ი.
g—გ: Sigurd — სიგურდ-ი.
g—ი: Egner — ეინერ-ი.
g (ზოგჯერ არ იკითხება): Cjaerder — იერდერ-ი.
ie—ი: Grieg — გრიგ-ი.

k—**კ**: Kommandantvold — კომანდანტვულ-ი.
ki და **kj**—**ხი**: Kielland — ხიელან-ი, Kielstadli — ხიელსტადლი.
ld—**ლ**: Kommandantvold — კომანდანტვულ-ი.
nd—**ნ**: Øverland — ევერლან-ი.
o—**ო**: Oslo — ოსლო.
o—**უ**: Kommandantvold — კომანდანტვულ-ი, Evensmo — ევენსმუ.
sch—**სკ**: Schou — სკოუ.
sj—**შ**: Sjøberg — შებერგ-ი.
sk—**სკ**: Skouen — სკოუენ-ი, Skre — სკრე.
ski, skj—**შ**: Skien — შიენ-ი, Skjerper — შერპერ-ი, Werenskiold — ვერენშიოლ-ი.
tj—**ხ**; Tjølling — ხელინგ-ი.
å—**ო**: Istgård — ისტგორდ-ი.
Ø—**ე**: Bodø — ბუდე, Bømlo — ბემლო, Grønland — გრენლანდია.

პოლონური

ą—**ომ**: Dąbrowska — დომბროვსკა.
ą—**ონ**: Kątski—კონტსკი.
c (ყველა შემთხვევაში)—**ც**:Cetner—ცეტნერ-ი,Stobiecki— სტობიეცკი, Solec — სოლეც-ი.
ch—**ხ**: Chamiec — ხამიეც-ი.
cz—**ჩ**: Czerniatowicz — ჩერნიატოვიჩ-ი, Leszczynski — ლეშჩინსკი.
drz — **ჯ**: Andrzej — ანჯეი.
o — **უ**: Jelenia Góra — ელენია-გურა.
rz — **შ**: Przybyszewski — ფშიბიშევსკი.
rz — **ჟ**: Brzeg — ბჟეგ-ი, Kazimierz — კაზიმიეჟ-ი, Rzytka — ჟიტკა, Bobrzynski — ბობჟინსკი.
sz — **შ**: Leszczynski — ლეშჩინსკი, Szymon — შიმონ-ი, Lukasz — ლუკაშ-ი, Szymanowski — შიმანოვსკი, Warszawa—ვარშავა.
z — **ზ**: Zbigniew — ზბიგნიევ-ი, Zielona Góra — ზიელონა-გურა.
z — **ჟ**: Zulawski — ჟულავსკი.

პორტუგალიური

ã — **ან**: Meã — მეან-ი.
ao — **ან**: Tristão — ტრისტან-ი, Garção — გარსან-ი, Sao Paulo — სან-პაულუ.
c (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ, b, d, p, t-ს გარდა) — **კ**: Cabral — კაბრალ-ი, Curral — კურალ-ი.
c (e, i-ს წინ) — **ს**: Celso — სელსუ, Cidadela — სიდადელა.
c (b, d, p, t-ს წინ) არ გამოითქმის: Octavio — ოტავიუ, Victoria — ვიტორია.
e — **ე**: Hernani — ერნანი, Peneda — პენედა.
e — **ი**: Belo Horizonte — ბელუ-ორიზონტი, Flores — ფლორიშ-ი, Jorge — ჟორჟი.
g (a, o, u-ს წინ) — **გ**: Gastão — გაშტან-ი, Gustavo — გუშტავუ.
g (e, i-ს წინ)—**ჟ**: Gilberto—ჟილბერტუ, Lagedo — ლაჟედუ.
h (არ იკითხება): Belo Horizonte — ბელუ-ორიზონტი, Hernani — ერნანი.
j—**ჟ**: Baixo Alentejo — ბაიშუ-ალენტეჟუ, Jorge — ჟორჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

lhe — **ლიე**: Guilherme — გილიერმი.
lho — **ლიუ**: Fialho — ფიალიუ.
m — **მ**: Menton — მენტონ-ი, Humberto — უმბერტო.
m — **ნ**: Bomfin — ბონფინ-ი, Joaquim — ჟუაკინ-ი, Belem — ბელენ-ი.
nha — **ნია**: Saldanha — სალდანია.
nhu — **ნიუ**: Garanhuns — გარანიუნშ-ი, Curralinho — კურალინიუ.
o — **ო**: Orlando — ორლანდუ.
o — **უ**: Joaquim — ჟუაკინ-ი, Soares — სუარეშ-ი, Ricardo — რიკარდუ, Amado — ამადუ
õe — **ოინ**: simões — სიმოინშ-ი.
qu — **კ**: Queluz — კელუშ-ი, Joaquim — ჟუაკინ-ი.
s—**ს**: Sales — სალიშ-ი, Monserrate — მონსერატი.
s (ორ ხმოვანს შორის) — **ზ**: Aloisio — ალოიზიუ, Trancoso — ტრანკოზუ, Isabel — იზაბელ-ი.
s—**შ** (ბრაზილიურ სახელებში — **ს**): Cristino — კრიშტინუ (ბრაზილ.: კრისტინუ), Vasco — ვაშკუ (ბრაზილ.: ვასკუ).
s—**ჟ** (ბრაზილიურ სახელებში — **ს**): Caldas Novas — კალდაჟ-ნოვას-ი (ბრაზილ.: კალდას-ნოვას-ი), Tres Lagôas — ტრეჟ-ლაგოაშ-ი (ბრაზილ.: ტრეს-ლაგოას-ი).
th—**თ**: Theo — თეუ, Ruth — რუთ-ი, Catharina — კათარინა.
x—**ზ**: Exalte — ეზალტი.
x—**შ**: Xavier — შავიერ-ი, Maximiano — მაშიმიანუ, Porto Alexandre — პორტუ-ალეშანდრი.
z—**ზ**: Ezalte — ეზალტი, Belo Horizonte — ბელუ-ორიზონტი.
z—**შ**: (ბრაზილიურ სახელებში — **ს**): Luizburgo — ლუიშბურგუ (ბრაზილ.: ლუისბურგუ), Queluz — კელუშ-ი (ბრაზილ.: კელუს-ი).

რუმინული

ă—**ე**: Bistrița-Năsăud — ბისტრიცა-ნესეუდ-ი, Vlahuță — ვლაჰუცე, Bacău — ბაკეუ.
c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) — **კ**: Camil—კამილ-ი, Nicoleta—ნიკოლეტა, Dicescu — დიჩესკუ
c (e, i-ს წინ) — **ჩ**: Cezar — ჩეზარ-ი, Donici — დონიჩი, Dicescu — დიჩესკუ.
ch—**კ**: Michaela — მიკაელა, Chira — კირა, Costache — კოსტაკე, Nichita — ნიკიტა.
cea და **cia** — **ჩა**: Suceava — სუჩავა, Marcian — მარჩან-ი.
ciu—**ჩუ**: Viniciu — ვინიჩუ.
g (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) — **გ**: Grigore — გრიგორე.
g (e, i-ს წინ) — **ჯ**: Argeș — არჯეშ-ი, Virginia — ვირჯინია.
gio — **ჯო**: Giorgescu — ჯორჯესკუ.
gh (e, i-ს წინ) — **გ**: Gheorghe — გეორგე, Harghita — ჰარგიტა.
h—**ჰ**: Mihai — მიჰაი.
h (ზოგჯერ არ გამოითქმის): Baile Herculane — ბეილე-ერკულანე.
ii (სიტყვის ბოლოში) — **ი**: Cocorestii—Colt—კოკორეშტი-კოლც-ი, Ploestii—პლოეშტი.
j—**ჟ**: Cujmir — კუჟმირ-ი, Lugoj — ლუგოჟ-ი, Dolj — დოლჟ-ი.
s—**ს**: Sanda — სანდა, Constantin — კონსტანტინ-ი.
ș—**შ**: Arges — არჯეშ-ი, Brașov — ბრაშოვ-ი, Ploești — პლოეშტი.

t—ტ: Timisoara — ტიმიშოარა.
ţ—ც: Bistrita — ბისტრიცა, Constanţa — კონსტანცა.
th—თ: Theodor — თეოდორ-ი.
z—ზ: Zoe — ზოე, Suzana — სუზანა.

უნგრული

c (ყველა შემთხვევაში) — ც: Cuca — ცუცა, Vönöck ვენეცკ-ი.
cs—ჩ: Gyurkovics — დიურკოვიჩ-ი, Békéscsaba — ბეკეშჩაბა, Lukács—ლუკაჩ-ი.
eö—ე: Eötvös — ეტვეშ-ი.
gy—დი: Gyula — დიულა, Gyurkovics — დიურკოვიჩ-ი, Megyer—მედიერ-ი, Nagykörös — ნადიკერეშ-ი.
ly—ი: Károly — კაროი, Mihaly — მიჰაი.
ö—ე: Petöfi — პეტეფი, Öttömös — ეტემეშ-ი, Mezöföld — მეზეფელდ-ი.
s და **ss**—შ: Békés— ბეკეშ-ი, Sopron —შოპრონ-ი, Lajos— ლაიოშ-ი, Kossuht—კოშუტ-ი
sz—ს: Szeged — სეგედ-ი, Tisza — ტისა, Laszlo — ლასლო, Szabó — საბო.
th—ტ: Horthy — ჰორტი, Horvath — ჰორვატ-ი, Kossuth — კოშუტ-ი.
ts—ჩ: Derkovits — დერკოვიჩ-ი.
ü—იუ: Balatonfüred — ბალატონფიურედ-ი.
yi—ი: Bokányi — ბოკანი, Somogyi — შომოდი.
z—ზ: Lázár — ლაზარ-ი, Zoltan — ზოლტან-ი.
zs—ჟ: Jozsef — იოჟეფ-ი, Zsuzsa — ჟუჟა, Nagykanizsa — ნადიკანიჟა.

ფრანგული

ai და **ay** — ე: Romaine — რომენ-ი, Du Bellay — დიუბელე, La Fontaine — ლაფონტენ-ი
au—ო: Paul — პოლ-ი, Gaulle — გოლ-ი, Daudet — დოდე.
auld, ault—ო: La Rochefoucauld — ლაროშფუკო, Boussingault — ბუსენგო, Perrault — პერო.
ay—აი: Raymond — რაიმონ-ი.
ay—ეი: Raynal — რეინალ-ი.
c (a, o, u-ს წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში) — კ: Claude—კლოდ-ი, Pascal — პასკალ-ი, Jeanne d'Arc — ჟან დ'არკ-ი.
c (e, i, y-ს წინ) — ს: Francis — ფრანსის-ი, Marcel — მარსელ-ი.
ch—შ: Charles — შარლ-ი, Richard — რიშარ-ი.
ch—კ: Christiane — კრისტიან-ი (და არა: ქრისტიან-ი).
d—დ: (ფრანგული სახელების ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Fernand — ფერნან-ი, Gounod—გუნო, Rolland — როლან-ი, Gerard — ჟერარ-ი, მაგრამ: David — დავიდ-ი, Alfred — ალფრედ-ი, Sand — სანდ-ი.
e—ე (სიტყვის ბოლოში, ზოგჯერ კი სიტყვის შუაშიც, არ გამოითქმის, თუ არა აქვს რაიმე დიაკრიტული ნიშანი): Emile — ემილ-ი, Gustave — გიუსტავ-ი: Diderot — დიდრო, Baudelaire — ბოდლერ-ი, Rabelais — რაბლე, Destouches — დეტუშ-ი, Duchesne — დიუშენ-ი; მაგრამ: Littré — ლიტრე.
eau — ო: Bordeau — ბორდო, Rousseau — რუსო, Chateaubriand — შატობრიან-ი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

Beaumarches — ბომარშე.

ei და **ey**—**ე**: Beine — ბენ-ი, Montmirey — მონმირე.

ei და **ey**—**ეი**: Reynaud — რეინო.

em-**ან**: Montalembert — მონტალამბერ-ი, Sembat — სამბა.

en—**ან**, **ენ**: Henri — ანრი, Noulens — ნულანს-ი, Senderans — სანდერან-ი, d'Entrecasteau — დ'ანტრკასტო.

ent—**ან**: Laurent—ლორან-ი.

eu—**ე**: Eugene — ეჟენ-ი, Babeuf — ბაბეფ-ი, Pasteur — პასტერ-ი, Montesquieu — მონტესკიე, Richelieu — რიშელიე.

g (a, o, u-ს და თანხმოვნების წინ) — **გ**: Auguste — ოგიუსტ-ი, Gaston — გასტონ-ი.

g (e, i, y-ს წინ) — **ჟ**: Germain — ჟერმენ-ი, Georges — ჟორჟ-ი.

g (სიტყვის ბოლოს ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Cherbourg — შერბურ-ი.

geo—**ჟო**: Geoffroy — ჟოფრუა.

gn (ჩვეულებრივ სიტყვის შუაში ხმოვნის წინ) — **ნი**: Avignon — ავინიონ-ი, Cognac — კონიაკ-ი.

gne (სიტყვის ბოლოში) — **ნ**: Bretagne — ბრეტან-ი, Boulogne — ბულონ-ი, Bourgogne — ბურგონ-ი, Charlemagne — შარლემან-ი.

gh—**გ**: Le Burghet — ლე-ბიურგე.

gu (ხმოვნების წინ) — **გ**: Guy—გი, Péguy — პეგი.

gu (თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს) — **გიუ**: Gustave — გიუსტავ-ი, Auguste — ოგიუსტ-ი.

h :(ფრანგულში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Heléne — ელენ-ი, Henri — ანრი, Cahen — კაენ-ი, Hector — ექტორ-ი; მაგრამ: Hugo — ჰიუგო, Havre — ჰავრ-ი.

il და **ill** (ხმოვნის შემდეგ) — **ი**: Excideuil — ექსიდეი, Aureille — ორეი, Rambouillet რამბუიე.

ill (თანხმოვნის შემდეგ) — **იი**: Guillaume — გიომ-ი, მაგრამ: Grandville — გრანვილ-ი.

in—**ენ**: Dullin — დიულენ-ი, Vincent — ვენსან-ი, Rodin — როდენ-ი, Chardin — შარდენ-ი, Cachin — კაშენ-ი.

j—**ჟ**: Jules — ჟიულ-ი, Anjou — ანჟუ.

la—**ლა**: Abelard — აბელარ-ი, Labourbe — ლაბურბ-ი.

lu—**ლუ**: Lully — ლული, Eluard — ელუარ-ი, Blume — ბლუმ-ი.

m—**მ**: Ampére — ამპერ-ი, d'Alambert — დ'ალამბერ-ი.

m—**ნ**: Comte — კონტ-ი, Amfreville — ანფრევილ-ი.

mb—**ნ**: Coulomb—კულონ-ი.

œ(oe) და **œu (œu)** (სიტყვის თავში და ხმოვნის შემდეგ) — **ე**: Œrlicon — ერლიკონ-ი, OEutrange — ეტრანჟ-ი, Sacré-Coeur — საკრე-კერ-ი.

oi—**უა**: Antoine — ანტუან-ი, Dubois — დიუბუა, Grégoire — გრეგუარ-ი, Loire — ლუარა, Lavoisier — ლავუაზიე.

ou—**უ**: Decour — დეკურ-ი, Pompadour — პომპადურ-ი.

ph—**ფ**: Philippe — ფილიპ-ი, Joseph — ჟოზეფ-ი.

que—**კ**: Loire-Atlantique — ლუარ-ატლანტიკ-ი.

r—**რ**: (სიტყვის ბოლოში ხან გამოითქმის, ხან—არა): Renoir — რენუარ-ი, Victor ვიქტორ-ი, Berger — ბერჟე, Roger — როჟე, Beranger — ბერანჟე, Granger — გრანჟე.

s (სიტყვის თავში და თანხმოვნის წინ) — **ს**: Serge — სერჟ-ი, Justine — ჟიუსტინ-ი.

s (ორ ხმოვანს შორის) — **ზ**: Josephine — ჟოზეფინ-ი.

s (ფრანგული სახელების ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Dumas — დიუმა, Louis—ლუი, Charles—შარლ-ი, Arles — არლ-ი, Artois — არტუა; მაგრამ: Jaurés — ჟორეს-ი, Saint-Saëns — სენ-სანს-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

s (l, m, n-ის წინ, სიტყვის შუაში, ხშირად არ გამოითქმის): Isle - Jourdain — ილ-ჟურდენ-ი, Rouget de Lisle — რუჟე დე ლილ-ი, Lebesgue — ლებეგ-ი.

t—ტ: Tristan — ტრისტან-ი, Gautier — გოტიე.

t (სიტყვის ბოლოში ჩვეულებრივ არ გამოითქმის): Belfort — ბელფორ-ი, Goncourt — გონკურ-ი, Daudet — დოდე, Bleriot — ბლერიო, Duguit — დიუგი.

th—ტ: Arthur — არტიურ-ი, Barthou — ბარტუ, Thorez — ტორეზ-ი, Thibaud — ტიბო; მაგრამ: Berthollet — ბერთოლე, Théophile — თეოფილ-ი, Théodor — თეოდორ-ი.

tz (სიტყვის ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის): Beaumetz — ბომე.

tz (სიტყვის ბოლოში ხშირად) — ც: Retz — რეს-ი, Jametz — ჟამეს-ი.

u—იუ: Dumas — დიუმა, Camus — კამიუ, Duvalier — დიუვალიე, Dubois — დიუბუა.

un—ენ: Lebrun — ლებრენ-ი.

x—ქს: Xavier — ქსავიე, Luxembourg — ლუქსემბურგ-ი.

x—გზ: Saint-Exupéry — სენტ-ეგზიუპერი.

x—ს: Xertigny — სერტინი, Auxerre — ოსერ-ი.

x (სიტყვის ბოლოში არ გამოითქმის): Delacroix — დელაკრუა.

z—ზ: Zola — ზოლა.

z (ფრანგული სიტყვების ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის): Valdonnez— ვალდონე, Odomez — ოდომე.

შვედური

ah—ა: Siegbahn — სიგბან-ი, Svahnström — სვანსტრემ-ი.

ch—კ: Erich — ერიკ-ი.

dj (სიტყვის თავში) —ი: Djurberg — იურბერგ-ი.

gi—იი: Gidlung — იიდლუნგ-ი.

gä—ე: Gällivare — ელივარე, Gärdstam — ერდსტამ-ი.

gö—იე: Götherström — იეთერსტრემ-ი.

gy — იუ: Gyllensten — იულენსტენ-ი.

h—ჰ: Hylander — ჰიულანდერ-ი.

hj—ი: Hjälmaren — იელმარენ-ი, Hjorth — იორთ-ი.

ie—ი: Siegbahn — სიგბან-ი.

k—კ: Kalling — კალინგ-ი.

kj—ჩ: Kjellberg — ჩელბერგ-ი, Kjellgren — ჩელგრენ-ი, Kjellen — ჩელენ-ი.

o — (ზოგჯერ) უ: Borås — ბუროს-ი, Örebro — ერებრუ, Lo-Johansson—ლუ-იოჰანსონ-ი

s—ხ: Siegbahn — სიგბან-ი

sj—შ: Sjöström — შესტრემ-ი.

sk—შ: Skyöld — შელდ-ი.

stie—შე: Stiernhielm — შერნიელმ-ი.

y—ი: Ylander — ილანდერ-ი.

y (თანხმოვნის შემდეგ)—იუ: Hylander — ჰიულანდერ-ი, Byskeälv —ბიუსკეელვ-ი.

å—ო: Borås — ბუროს-ი, Västerås — ვესტეროს-ი, Skellefteå — შელეფტეო.

ä—ე: Almeby — ელმებიუ, Borlänge — ბურლენგე, Västerås — ვესტეროს-ი.

ö—ე (და არა: იო): Göteborg — გეტებორგ-ი, Malmö—მალმე, Ångström — ონგსტრემ-ი.

ზოგ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხური

c—ც: Ciprova — ციპროვა, Třeblicki — ტრშებლიცკი.
č—ჩ: Kabiček — კაბიჩეკ-ი, Poláček — პოლაჩეკ-ი.
ch—ხ: Mudroch — მუდროხ-ი, Pichlik — პიხლიკ-ი.
h—ჰ: Kohout — კოჰოუტ-ი, Hašek — ჰაშეკ-ი, Mahaškova — მაჰაჩკოვა.
r—რ: Ciprova — ციპროვა, Zaruba — ზარუბა.
ř—რჟ: Řada — რჟადა, Rezáč — რჟეზაჩ-ი.
ř—რშ: Třeblicki — ტრშებლიცკი.
s—ს: Kozusky — კოზუსკი.
š—შ: Aleš — ალეშ-ი, Ambriuš — ამბრიუშ-ი.
z—ზ: Zaruba— ზარუბა, Zazvorka — ზაზვორკა.
ž—ჟ: Zižka — ჟიჟკა, Domažlice — დომაჟლიცე.

ჰოლანდიური

aa—ა: Breebaart — ბრებარტ-ი.
ae—ა: Aerstens — არსტენს-ი, Bogaerts — ბოგარტს-ი.
c (e, i, y-ს წინ) — ს: Arcen — არსენ-ი.
c (ყველა სხვა შემთხვევაში) — კ: Coolen — კოლენ-ი.
ch—ხ: Schildpad — სხილდპად-ი, Schidam — სხიდამ-ი.
ck—კ: Diepenbrock — დიპენბროკ-ი, Jonckheere — იონკჰერე, Jackijst — იაკეისტ-ი.
ckx—ქს: Amelinckx — ამელინქს-ი, Blockx — ბლოქს-ი.
ee—ე: Breebaart — ბრებარტ-ი, Eeden — ედენ-ი.
eu—ე: Beunke — ბენკე, Beuzemaker — ბეზემაკერ-ი.
eu—ეი: Euwe — ეივე.
h—ჰ: Haasse — ჰასე.
ie—ი: Rogier van der Weyden — როგირ ვან დერ ვეიდენ-ი, Diepenbrock — დიპენბროკ-ი.
ij—ეი: Burkij-Bartelink — ბიურკეი-ბარტელინკ-ი, Bevervijk — ბეევრვეიკ-ი.
oe—უ: Goes — გუს-ი.
oo—ო: Coolen — კოლენ-ი, Amersfoort — ამერსფორტ-ი.
ou—აუ: Schouten — სხაუტენ-ი.
th—თ: Beth — ბეთ-ი.
tius—ციუს: Grotius — გროციუს-ი.
u—იუ: Buntinx — ბიუნტინქს-ი, Hilversium—ჰილვერსიუმ-ი.
ui—ეი: Buiskool — ბეისკოლ-ი, Kruissink — კრეისინკ-ი.
Z—ზ: Dozy — დოზი.

• • •

რიგ შემთხვევებში უცხოური საკუთარი სახელების ქართული დაწერილობა და წარმოთქმა ტრადიციითაა განპირობებული. მაგ., ფრანგ. Paris — პარიზი (და არა პარი), Hugo — ჰიუგო (და არა იუგო), Marat — მარატი (და არა მარა), ინგლ. Darwin—დარვინი (და არა დარუინი), Shakespeare — შექსპირი (და არა შეიქსპირი ან შეიქსპიარი), Washington — ვაშინგტონი (და არა უოშინგტონი) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ენებიდან ქართულად გადმოდის: x (cs, ks)—ქს, ps—ფს, ct(kt)—ქტ (და არა კს, პს, კტ); ასევე ქც (და არა კც)[1].

უცხო წარმოშობის სიტყვებში ასევეა: **ჟშ, ფშ, ჭჩ, ფჩ, ფც** (და არა **ჟშ, პშ, ჭჩ, პჩ, პც**): ინგლ. Yorkshire — იორჟშირ-ი, New Hampshire — ნიუ-ჰემფშირ-ი, პოლონ. Przybyszewski — ფშიბიშევსკი, Lapczinski — ლაფჩინსკი, Kszisztof — ჟშიშტოფ-ი, გერმ. Lęipzig — ლაიფციგ-ი, Lipschitz — ლიფშიც-ი, Dopsch — დოფშ-ი.

განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით სადავო აღარ არის ის, რომ უცხო სიტყვა (კერძოდ, საკუთარი სახელი), რომელშიც გაორმაგებული თანხმოვანია, ქართულში გადმოდის ერთი თანხმოვნით: ll—ლ, mm—მ, nn—ნ, rr—რ, tt—ტ და ა. შ. ფრანგ. Apollinaire — აპოლინერ-ი, Cézanne — სეზან-ი, Massenet — მასნე, ინგლ. Lloyd—ლოიდ-ი, Sierra Nevada — სიერა-ნევადა, გერმ. Wassermann — ვასერმან-ი, Zimmerwald — ციმერვალდ-ი, Lübeck — ლიუბეკ-ი, იტალ. Dalla piccola — დალაპიკოლა და ა. შ.

---

[1] იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970 და 1986 წ., გვ. 48.

ქართული ანბანი

ასო	სახელწ.	ასო	სახელწ.	ასო	სახელწ.
ა	ან	მ	მან	ღ	ღან
ბ	ბან	ნ	ნარ	ყ	ყარ
გ	გან	ო	ონ	შ	შინ
დ	დონ	პ	პარ	ჩ	ჩინ
ე	ენ	ჟ	ჟან	ც	ცან
ვ	ვინ	რ	რაე	ძ	ძილ
ზ	ზენ	ს	სან	წ	წილ
თ	თან	ტ	ტარ	ჭ	ჭარ
ი	ინ	უ	უნ	ხ	ხან
კ	კან	ფ	ფარ	ჯ	ჯან
ლ	ლას	ქ	ქან	ჰ	ჰაე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსიკონში მიღებული შემოკლებები

ადმ. — ადმინისტრაციული
ადმ.-ტერიტ. — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
ავტ. — ავტონომიური
არქიპ.— არქიპელაგი
არქტიკ. — არქტიკული
აღმ. — აღმოსავლეთი
აღმ-ით — აღმოსავლეთით
ახ. — ახალი
ახლანდ. — ახლანდელი
გდრ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
გფრ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
დას. — დასავლეთი
დას-ით — დასავლეთით
დეპარტ. — დეპარტამენტი
ეროვნ. — ეროვნული
ისტ. — ისტორიული
კ. — კუნძული
კ-ები — კუნძულები
მარცხ.— მარცხენა
მარჯვ. — მარჯვენა
მდ. — მდინარე
მდ-ები — მდინარეები
ნ.-კ. — ნახევარკუნძული
პოლიტ. — პოლიტიკური
პრეფექტ. — პრეფექტურა
პროვ. — პროვინცია, პროვინციის
რ-ნი — რაიონი
რესპ. — რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
ს. — საუკუნე, საუკუნის (თარიღთან)
სადგ. — სადგური
საერთაშ. — საერთაშორისო
სამრეწვ. — სამრეწველო
სამხრ. — სამხრეთი
სამხრ-ით — სამხრეთით
სამხრ.-აღმ. — სამხრეთ-აღმოსავლეთი
სამხრ.-აღმ -ით — სამხრეთ-აღმოსავლეთით
სამხრ.-დას.— სამხრეთ-დასავლეთი
სამხრ.-დას-ით — სამხრეთ-დასავლეთით
სახელმწ.— სახელმწიფო
ტერიტ. — ტერიტორია
უღელტ. — უღელტეხილი
ყოფ. — ყოფილი
ქ. — ქალაქი
ქ -ები — ქალაქები
შტ. — შტატი, შტატის
შუა საუკ. — შუა საუკუნეების
ჩრდ. — ჩრდილოეთი, ჩრდილო
ჩრდ -ით — ჩრდილოეთით
ჩრდ.-აღმ. — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი
ჩრდ.-აღმ -ით — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით
ჩრდ.-დას. — ჩრდილოეთ-დასავლეთი
ჩრდ.-დას-ით — ჩრდილოეთ-დასავლეთით
ცენტრ. — ცენტრალური
ძვ. — ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა

აარე (Aare) — მდ., რაინის მარცხ. შენაკადი; შვეიცარია

აახენ-ი (Aachen) — ქ.; ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარე, გფრ

აბა (Aba) — ქ.; აღმოსავლეთი ოლქი, ნიგერია

აბადან-ი — ქ.; ხუზისტანის ოსტანი, ირანი

აბაი — *ცისფერი ნილოსის* სახელწოდება ეთიოპიაში

აბასიანთა სახალიფო, ბაღდადის სახალიფო — არაბული ფეოდ. სახელმწიფო 750—1258 წლებში

აბაშეთი — *ეთიოპიის* ძვ. ქართული სახელწოდება

აბეოკუტა (Abeokuta) — ქ., ოგუნის შტ. ადმ. ცენტრი; ნიგერია

აბერდინ-ი (Aberdeen) ქ., აბერდინის საგრაფოს ადმ. ცენტრი; შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი

აბერდინ-ი (Aberdeen), აბერდინშირი, (Aberdeenshire) — საგრაფო; შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი

აბერდინშირ-ი — საგრაფო, იხ. *აბერდინი*

აბერისტუით-ი (Aberystwyth) — ქ.; კარდიგანშირის საგრაფო, დიდი ბრიტანეთი

აბისინია — *ეთიოპიის* ძვ. არაოფიც. სახელწოდება

აბისინიის მთიანეთი — *ეთიოპიის მთიანეთის* ძვ. არაოფიც. სახელწოდება

აბიჯან-ი (Abidjan) — ქ.; კოტ-დ'ივუარი

აბკაიკ-ი — ქ.; საუდის არაბეთი

აბო, იხ. *ტურკუ*

აბომეი (Abomey) — ქ.; ბენინი

აბრუცი (Abruzzi) — ოლქი; იტალია

აბრუცი-ე-მოლიზე — იტალიის ერთ-ერთი ოლქის ძვ. სახელწოდება; იხ. *აბრუცი, მოლიზე*

აბრუცის აპენინები (Appennino Abruzzese) — მთები; იტალია

აბუ-დაბი, იხ. *აბუ-ზაბი*

აბუ-ზაბი — არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქი

აბუ-ზანიმა — ქ. და ნავსადგ.; ეგვიპტე

აბუკირ-ი — კ. და კონცხი; ეგვიპტე

აბჰა — ქ., ასირის პროვ. ადმ. ცენტრი; საუდის არაბეთი

აგადეს-ი (Agadez, Agades) — ქ., აგადესის დეპარტ. ადმ. ცენტრი; ნიგერი

აგადირ-ი — ქ., აგადირის პროვ. ადმ. ცენტრი; მაროკო

აგანია (Agaña) — ქ.; ტრიპურის შტ., ინდოეთი

აგარტალა — ქ., *გუამის* ადმ. ცენტრი

აგრა — ქ.; უტარ-პრადეშის შტ., ინდოეთი

აგრიჯენტო (Agrigento) — ქ., აგრიჯენტოს პროვ. ადმ. ცენტრი; იტალია

აგტელეკ-ი (Aggtelek), ბარადლა-დომიცა (Baradla-Domica) — კარსტული მღვიმე უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე

აგუასკალიენტეს-ი (Aguascalientes) — ქ., აგუასკალიენტესის შტ. ადმ. ცენტრი; მექსიკა

აგუასკალიენტეს-ი (Aguascalientes) — შტ.; მექსიკა

აგულიას-ი (Agulhas), ნემსა კონცხი— კონცხი; აფრიკა

აგულიასის დინება — თბილი დინება; ინდოეთის ოკეანე, აფრიკის სანაპირო

აგულიასის ქვაბული, ნემსა კონცხის ქვაბული — ფსკერის დადაბლება ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეების საზღვარზე

აგულიას-ნეგრას-ი (Agulhas Negras), იტატიაია (Itatiaia) — მწვერვალი; სერა-და-მანტიკეირის ქედი, ბრაზილია

აგულიაშ-ი, იხ. *აგულიასი*

ადა (Adda) — მდ., პოს მარცხ. შენაკადი; იტალია

ადალია, იხ. *ანთალია*

ადამავა, ადამაუა (Adamawa) — ზეგანი; კამერუნი

ადამაუა, იხ. *ადამავა*

ადამზტაუნ-ი (Adamstown) — ქ., კ. პიტკერნის ადმ. ცენტრი, ნავსადგ.; წყნარი ოკეანე

ადამსტაუნ-ი, იხ. *ადამზტაუნი*

ადანა (Adana), სეიჰანი (Seyhan) — ქ., ადანის ვილაიეთის ადმ. ცენტრი; თურქეთი

ადაფაზარი (Adapazarı) — ქ., საქარიის ვილაიეთის ადმ. ცენტრი; თურქეთი

ადელაიდა (Adelaide) — ქ., სამხრეთ ავსტრალიის შტ. ადმ. ცენტრი; ავსტრალია

ადელის მიწა (Terre Adélie) — ანტარქტიდის ტერიტ. ნაწილი

ადელსბერგის მღვიმე (Adelsberg) — *პოსტოინსკა-იამის* გერმანული სახელწოდება

ადენ-ი — იემენის სდრ-ის დედაქალაქი

ადენის ყურე — არაბეთისა და სომალის ნ.-კ-ებს შორის, არაბეთის ზღვა

ადიამან-ი (Adiyaman) — ქ., ადიამანის ვილაიეთის ადმ. ცენტრი; თურქეთი

ადირონდაკ-ი (Adirondack) — მთის მასივი; აპალაჩების სისტემა, აშშ

ადის-აბება — ეთიოპიის დედაქალაქი

ადიჯე (Adige) — მდ., ერთვის ადრიატიკის ზღვის ვენეციის ყურეს; იტალია

ადმირალტი (Admiralty Range) — მთაგრეხილი; ვიქტორიას მიწა, ანტარქტიდა

ადრარ-იფორას-ი (ფრანგ. Adrar des Iforas) — ზეგანი; საჰარა

ადრიანოპოლ-ი — *ედირნეს* ბერძნული სახელწოდება

ადრიატიკის ზღვა (იტალ. Mare Adriatico, სერბ.-ხორვატ. Jadransko more) — ხმელთაშუა ზღვის ნაწილი აპენინისა და ბალკანეთის ნ.-კ-ებს შორის

ადუა, ადუვა — ქ.; ტიგრეს პროვ., ეთიოპია

ადუვა, იხ. *ადუა*

ადურ-ი (Adour) — მდ., ერთვის ატლანტის ოკეანის ბისკაიის ყურეს; საფრანგეთი

ავარუა (Avarua) — ქ., კუკის კ-ების ადმ. ცენტრი; ახალი ზელანდია

ავგუსტოვ-ი (Augustów) — ქ.; სუვალკის საოევოდო, პოლონეთი

ავგუსტოვის არხი — აერთებს მდ-ებს ვისლასა და ნემანს; პოლონეთი

აველიანედა (Avellanéda) — ქ.; ბუენოს-აირესის პროვ., არგენტინა

ავეირონ-ი (Aveyron) — დეპარტ.; საფრანგეთი

ავილა (Avila) — ქ., ავილის პროვ. ადმ. ცენტრი; ესპანეთი

ავილეს-ი (Avilés) — ქ. და ნავსადგ.; ოვიედოს პროვ., ესპანეთი

ავინიონ-ი (Avignon) — ქ., ვოკლუზის დეპარტ. ადმ. ცენტრი; საფრანგეთი

ავსტრაზია (Austrasia) — ფრანკთა სამეფოს (V—IX სს.) აღმ. ნაწილი

ავსტრალია (Australia) — კონტინენტი

ავსტრალია (Australia) — სახელმწ.; ავსტრალიის კონტინენტი

ავსტრალია-აზიის ხმელთაშუა ზღვა — კუნძულთშორისი ზღვების საერთო სახელწოდება; წყნარი ოკეანე

ავსტრალიის ალპები (Australian Alps) — მთიანეთი; ავსტრალია

ავსტრალიის დიდი ყურე (Great Australian Bay) — ინდოეთის ოკეანის ყურე; ავსტრალიის სანაპირო

ავსტრია (Österreich), ავსტრიის რესპუბლიკა (Österreichische Republik) — სახელმწ.; ევროპა

ავღანეთი, ავღანეთის რესპუბლიკა — სახელმწ.; აზია

აზანდე (Azande), ბანდა — ზეგანი; აფრიკა

აზბინ-ი, იხ. *აირი*

აზია — *ევრაზიის* აღმ. ნაწილი

აზორის კუნძულები (პორტუგ. Ilhas dos Açores) — ვულკანური არქიპ.; ატლანტის ოკეანე, აფრიკის სანაპიროსთან, პორტუგალია

ათაბასკა (Athabaska) — მდ., ერთვის ათაბასკის ტბას; კანადა

ათაბასკა (Athabaska) — ტბა; კანადა

ათენ-ი (Athēnai), დიდი ათენი—საბერძნეთის დედაქალაქი

ათერტონ-ი (Atherton) — პლატო; ავსტრალია

ათონ-ი, იხ. *აითონ-ოროსი*

ათრაქ-ი — მდ., ერთვის კასპიის ზღვას; ირანი და სსრკ

აიაკუჩო (Ayacucho) — ქ., აიაკუჩოს დეპარტ. ადმ. ცენტრი; პერუ

აიაჩო (Ajaccio) — ქ., სამხრეთ კორსიკის დეპარტ. ადმ. ცენტრი; საფრანგეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიდაჰო (Idaho) — შტ.; აშშ
აიდინ-ი (Aydın) — ქ., აიდინის ვილაიეთის ადმ. ცენტრი; თურქეთი
აიზენახ-ი (Eisenach) — ქ.; ერფურტის ოლქი, გდრ
აიზენერც-ი (Eisenerz) — ქ.; შტირიის მხარე, ავსტრია
აიზენჰიუტენშტადტ-ი (Eisenhüttenstadt) — ქ., ფრანკფურტის ოლქი, გდრ
აიკა (Ajka) — ქ.; ვესპრემის მედიე, უნგრეთი
აილათ-ი — ქ.; ისრაელი
აილაოშან-ი — ქედი; იუნანის სამხრ. მთიანეთი, ჩინეთი
აილენბურგ-ი (Eilenburg) — ქ.; ლაიფციგის ოლქი, გდრ
აილენდ-ი, იხ. *შობის კუნძული* (წყნარ ოკეანეში)
აილენდ-ი, იხ. *შობის კუნძული* (ინდოეთის ოკეანეში)
აილ-ოვ-ილი (Isle of Ely) — საგრაფო; დიდი ბრიტანეთი
აინ-სალაჰ-ი — ოაზისი; ალჟირი
აიოვა (Iowa) — შტ.; აშშ
აიონ-ოროს-ი (ბერძნ. Hagion Oros, ახ. ბერძნ. Ajōn Oros), ა თ ო ნ ი — ნ.-კ.; საბერძნეთი
აირ-ი, (Aïr), ა ზ ბ ი ნ ი (Azbine) — ზეგანი; საჰარა, ნიგერი
აისლებენ-ი (Eisleben) — ქ.; ჰალეს ოლქი, გდრ
აისრიზენველტ-ი (Eisriesenwelt) — კარსტული მღვიმე; ავსტრია
აიტ-ი — პრეფექტ.; იაპონია
აიუთაია, ა ი უ თ ი ა — ქ., აიუთაიის პროვ. ადმ. ცენტრი; ტაილანდი
აიუთია, იხ. *აიუთაია*
აიფელ-ი (Eifel) — რაინის ფიქლოვანი მთების დას. ნაწილი; გფრ
აიძუვაკამაცუ, ვ ა კ ა მ ა ც უ, ი ა ნ ა ი ძ უ — ქ.; ფუკუსიმის პრეფექტ., იაპონია
აკაბა — წითელი ზღვის ყურე არაბეთისა და სინის ნ.-კ-ებს შორის
აკაბა — ქ. და ნავსადგ.; იორდანია
აკახ-ი — ქ. და ნავსადგ.; ჰიოგოს პრეფექტ., იაპონია
აკვიტანია (ლათ. Aquitania) — ისტ. ოლქი; საფრანგეთი
აკვიტანიას დაბლობი, იხ. *გარონის დაბლობი*
აკიაბ-ი, იხ. *სიტუე*
აკიტა — ქ.; აკიტის პრეფექტ. ადმ. ცენტრი; იაპონია
აკიტა — პრეფექტ.; იაპონია
აკოლა — ქ.; მაჰარაშტრის შტ., ინდოეთი
აკონკაგუა (Aconcagua) — მწვერვალი; სამხრეთ ამერიკის ანდები, არგენტინა
აკრა (Accra) — განის დედაქალაქი
აკრი (Acre) — შტ.; ბრაზილია
აკრონ-ი, (Akron) — ქ.; ოჰაიოს შტ., აშშ
აკუილა, იხ. *ლ'აკუილა*
აკურეირი (Akureyri) — ქ.; ისლანდია
ალაბამა (Alabama) — მდ., მობილის ერთ-ერთი მდგენელი; აშშ
ალაბამა (Alabama) — შტ.; აშშ
ალაგოას-ი (Alagoas) — შტ.; ბრაზილია
ალამიდა (Alameda) — ქ.; კალიფორნიის ტ., აშშ
ალანდის კუნძულები (შვედ. Åland), ა ჰ ვ ე ა ნ მ აა (ფინ. Ahvenanmaa) — არქიპ.; ბალტიის ზღვა, ფინეთი
ალანსონ-ი (Alançon) — ქ., ორნის დეპარტ. ადმ. ცენტრი; საფრანგეთი
ალარკოს-ი (Alarcos) — .; ესპანეთი
ალასკა (Alaska) — ნ.-კ.; ჩრდილოეთი ამერიკა
ალასკა (Alaska) — შტ.; აშშ
ალასკის დინება — თბილი დინება; წყნარი ოკეანე
ალასკის ქედი (Alaska Range) — ჩრდილოეთ ამერიკის კორდილიერების სისტემა, ალასკა
ალასკის ყურე — ღია ყურე ალასკის ნ.-კ- სა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს შორის; წყნარი ოკეანე
ალაშან-ი — უდაბნო; ჩინეთი
ალაშან-ი, ხ ე ლ ა ნ შ ა ნ ი, ძ ი ა ლ ა ნ შ ა ნ ი — ქედი; ჩინეთი
ალაჰაბად-ი, იხ. *ილაჰაბადი*
ალბა-იულია (Alba Iulia) — ქ., ალბის ჟუდეცის ადმ. ცენტრი; რუმინეთი
ალბანეთი (Shqipëria), ა ლ ბ ა ნ ე თ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (Republika Popullore e Shqipërisë) — სახელმწ.; ბალკანეთის ნ.-კ.
ალბასეტე (Albacete) — ქ., ალბასეტეს პროვ. ადმ. ცენტრი; ესპანეთი

ალბერვილ-ი, იხ. *კალიმა*

ალბერტ-ი, იხ. *მობუტუ-სესე-სეკო*

ალბერტა (Alberta) — პროვ.; კანადა

ალბერტის არხი, იხ. *ალბერტ-კანალი*

ალბერტის პლატო — კანადა

ალბერტ-კანალ-ი (Albert Kanaal), ალბერტის არხი — არხი; ბელგია

ალბერტ-ნილოს-ი — *ნილოსის* ზემო დინების მონაკვეთის სახელწოდება

ალბიონ-ი (Albion) — *ბრიტანეთის კუნძულების* უძველესი სახელწოდება

ალბუკერკე (Albuquerque) — ქ.; ნიუ-მექსიკოს შტ.; აშშ

ალბუკერკი, იხ. *ალბუკერკე*

ალგარვი (Algarve) — ისტ. პროვ.; პორტუგალია

ალგოის ალპები (Allgäuer Alpen) — *აღმოსავლეთ ალპების* ჩრდ. ნაწილი; გფრ და ავსტრია

ალეგანი (Allegheny) — აპალაჩის პლატოს აღმ. ნაწილი; აშშ

ალენტაუნ-ი (Allentown) — ქ.; პენსილვანიის შტ., აშშ

ალეპ-ი — ქ. და ნავსადგ.; კერალის შტ., ინდოეთი

ალეპო, იხ. *ჰალაბი*

ალერ-ი (Aller) — მდ., ვეზერის მარჯვ. შენაკადი; გფრ

ალესანდრია (Alessandria) — ქ., ალესანდრიის პროვ. ადმ. ცენტრი; იტალია

ალეუტის კუნძულები (Aleutian Islands) — არქიპ.; წყნარი ოკეანე

ალეუტის ქედი — ალასკის ნ.-კ., ჩრდილოეთი ამერიკა

ალეუტის ღრმული — წყნარი ოკეანე

ალექსანდრეს არქიპელაგი (Alexander Archipelago) — წყნარი ოკეანე, ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროსთან

ალექსანდრეტა (Alexandretta) — *ისქენდერუნის* ბერძნ. სახელწოდება

ალექსანდრია — ალექსანდრიის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი; ეგვიპტე

ალექსანდრია (Alexandria) — ქ.; ვირჯინიის შტ., აშშ

ალექსანდრია (Alexandria) — ქ., ტელეორმანის ჟუდეცის ადმ. ცენტრი; რუმინეთი

ალექსანდრუპოლის-ი (Alexandrupolis) — და ნავსადგ., ევროსის ნომის ადმ. ცენტრი; საბერძნეთი

ალეჩის მყინვარი (Aletschgletscher) — ალპები, შვეიცარია

ალეშას-ი, იხ. *ელეშასი*

ალეშას-ლორენ-ი, იხ. *ელეშას-ლოთარინგია*

ალთან-ბულაღ-ი — ქ.; სელენგის აიმაკი, მონღოლეთი

ალთინთაღ-ი — ქედი; ჩინეთი

ალია (Allia) — მდ., ტიბრის მარცხ. შენაკადი; იტალია

ალიგარჰ-ი — ქ.; უტარ-პრადეშის შტ., ინდოეთი

ალიე (Allier) — მდ., ლუარის მარცხ. შენაკადი; საფრანგეთი

ალიე (Allier) — დეპარტ.; საფრანგეთი

ალიკანტე (Alicante) — ქ., ნავსადგ. და კურორტი, ალიკანტეს პროვ. ადმ. ცენტრი; ესპანეთი

ალინგ-განგრი, ნაინ-სინგა — ქედი; ჩინეთი

ალკასარკივირ-ი, იხ. *ელ-კასრ-ელ-ჭაბირი*

ალკმარ-ი (Alkmaar) — ქ.; ჰოლანდიის პროვ., ნიდერლანდი

ალკოი (Alcoy) — ქ., ალიკანტეს პროვ., ესპანეთი

ალმადა (Almada) — ქ.; სეტუბალის ოლქი, პორტუგალია

ალმადენ-ი (Almaden) — ქ.; სიუდად-რეალის პროვ., ესპანეთი

ალმადი (Almadies) — კონცხი; მწვანე კონცხის ნ.-კ., აფრიკა

ალმასის მთები, იხ. *კიმგანსანი*

ალმელო (Almelo) — ქ.; ოვერეისელის პროვ., ნიდერლანდი

ალმერია ((Almeria) — ქ. და ნავსადგ., ალმერიის პროვ. ადმ. ცენტრი; ესპანეთი

ალოა — სახელმწ.; არსებობდა ახლანდ. სუდანის ტერიტორიაზე VII—VIII სს-იდან XVI ს-მდე

ალორ-სტარ-ი (Alor Star) — ქ., კედაჰის სამთავროს ადმ. ცენტრი; მალაიზია

ალოსტ-ი, იხ. *ალსტი*

ალოფი (Alofi) — კ. *ნიუეს* მთავარი ქ. და ნავსადგური

ალპები, ალპის მთები (გერმ. Al-

pen, ფრანგ. Alpes, იტალ. Alpi) — მთითა სისტემა; ევროპა

ალპერის მღვიმე (Alpera) — ქ. *ალბასეტესთან*

ალპის მთები, იხ. *ალპები*

ალუეზირას-ი იხ. *ალხესირასი*

ალუირ-ი — ალჟირის დედაქალაქი

ალუირ-ი, ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა—სახელმწ.; აფრიკა

ალსტი, ალოსტი (ფლამანდ. Aalst, ფრანგ. Alost) — ქ.; აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვ., ბელგია

ალტამირა (Altamira), ალტამირის მღვიმე — კანტაბრიის მთები, ესპანეთი

ალტამირის მღვიმე, იხ. *ალტამირა*

ალტენბურგ-ი (Altenburg) — ქ.; ლაიფციგის ოლქი, გდრ

ალტონა (Altona) — ქ.; 1937 წ. შეუერთდა *ჰამბურგს*

ალტუ-ალენტეჟუ (Alto Alentejo) — ისტ. ოლქი; პორტუგალია

ალტუნა (Altoona)—ქ.; პენსილვანიის შტ., აშშ

ალხესირას-ი (Algeciras) — ქ. და ნავსადგ.; კადისის პროვ., ესპანეთი

ამაგასაკ-ი — ქ. და ნავსადგ.; ჰიოგოს პრეფექტ., იაპონია

ამაზონ-ი (Amazonas) — მდ., ერთვის ატლანტის ოკეანეს; სამხრეთი ამერიკა

ამაზონას-ი (Amazonas) — შტ.; ბრაზილია

ამალფი (Amalfi) — ქ.; სალერნოს პროვ., იტალია

ამან-ი — იორდანიის დედაქალაქი

ამანუს-ი (Amanus), ნურდაღი, გიავურდაღი, ნურდაღლარი — ქედი; თურქეთი

ამაპა (Amapa) — ტერიტორია; ბრაზილია

ამარა — ქ., მაისანის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი; ერაყი

ამარავატი — ქ.; მაჰარაშტრის შტ., ინდოეთი

ამარაპურა — ქ.; მანდალაის ადმ. ოლქი, ბირმა

ამარილო (Amarillo) — ქ.; ტეხასის შტ., აშშ

ამასია (Amasya) — ქ., ამასიის ვილაიეთის ადმ. ცენტრი; თურქეთი

ამაღლების კუნძული (Ascension Island) — ვულკანური კუნძული; ატლანტის ოკეანე, დიდი ბრიტანეთის სამფლობელო

ამბალა — ქ.; ჰარიანის შტ., ინდოეთი

ამბატო (Ambato) — ქ., ტუნგურაუის პროვ. ადმ. ცენტრი; ეკვადორი

ამბოინა, იხ. *ამბონი*

ამბონ-ი (Ambon), ამბოინა — ქ. და ნავსადგ., მალუკუს პროვ. ადმ. ცენტრი; ინდონეზია

ამბრაკოს-ი (Ambrakikos kolpos), არტის ყურე — იონიის ზღვის ყურე; საბერძნეთი

ამბროზია-ლეიკ-ი (Ambrosia Lake) — სამადოთა ჯგუფი; აშშ

ამერიკა — ქვეყნის ნაწილი; შედგება *ჩრდილოეთ ამერიკისა* და *სამხრეთ ამერიკის* კონტინენტებისაგან

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) (United States of America, USA) — სახელმწ.; ჩრდილოეთი ამერიკა

ამერიკის ხმელთაშუა ზღვა, იხ. *ვესტინდოეთის ზღვა*

ამერსფორტ-ი (Amersfoort) — ქ.; უტრეხტის პროვ., ნიდერლანდი

ამიენ-ი (Amiens) — ქ., სომის დეპარტ. ადმ. ცენტრი; საფრანგეთი

ამირანტის კუნძულები (Amirantes Islands) — მარჯნის კ-ების ჯგუფი; ინდოეთის ოკეანე, ეკუთვნის სეიშელის კუნძულების რესპუბლიკას

ამნოკანი, იხ. *იალუძიანი*

ამოი, იხ. *სიამინი*

ამოხოსტოს-ი, იხ. *ფამაგუსტა*

ამრიტსარ-ი — ქ.; პენჯაბის შტ., ინდოეთი

ამსტერდამ-ი (Amsterdam) — ნიდერლანდის დედაქალაქი

ამუნდსენის ზღვა — წყნარი ოკეანის განაპირა ზღვა; ანტარქტიდის სანაპირო

ამუნდსენის მთა — მწვერვალი; ანტარქტიდა

ამუნდსენის ყურე — ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე

